

ბანმარტმბითი ბარათი

კანონპროექტზე: „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტი გამომდინარეობს „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის პროექტიდან, რომელიც განპირობებულია სახელმწიფო საზღვრის დაცვის სისტემის გაძლიერების და უფრო ეფექტურად დაცვის მიზნებით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია სახელმწიფო საზღვრის დაცვის სისტემის გაძლიერება და მისი უფრო ეფექტურად მართვის ღონისძიებების განხორციელება. კანონპროექტის მიზანია ასევე სახელმწიფო საზღვარის დაცვის სფეროში ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე სწრაფი და დროული რეაგირება.

ა.გ) კანონპროექტის არსი

კანონპროექტის მიხედვით, 114¹ და 190² მუხლებით, აგრეთვე 191 მუხლის 1 და 1¹ ნაწილებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე სასაზღვრო პოლიციასთან ერთად რეაგირების უფლება ექნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის შემოავა სხვა უფლებამოსილ ორგანოებსაც.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) *კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:*

კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს დაფინანსების წყაროს მოძიებას.

ბ.ბ) *კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:*

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) *კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:*

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) *სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:*

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) *კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:*

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას იმ პირობის ფინანსურ მდგომარეობაზე, რომელზედაც ვრცელდება აღნიშნული კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადების ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტი არ ითვალისწინებს ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა გადასახადის შემოღებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში აღებული ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

არ მონაწილეობდნენ.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

კანონპროექტის ავტორია საქართველოს პარლამენტის წევრები – პავლე კუბლაშვილი, აკაკი მინაშვილი

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის წევრები – პავლე კუბლაშვილი, აკაკი მინაშვილი